



ბრძანება №02/17

18 აპრილი 2018წ

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:




1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.






ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4)


გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიმე

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		კოდმანის წმ. დემეტრეს სახელობის ეკლესია	ქ. მცხეთა (GPS კოორდ. X-475005 Y-4632671)	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები
2.		მგალობლიანთკარის წმ. გიორგის ეკლესია	ქ. მცხეთა (GPS კოორდ. X-474815 Y-4633415)	არქიტექტურის	XVIII-XIX საუკუნეები
3.		კოდმანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	ქ. მცხეთა (GPS კოორდ. X-475077 Y-4633247)	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
4.		დარბაზული ეკლესია	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი. ქ. ახალქალაქი, (GPS კოორდ. 41.41092 43.49512)	არქიტექტურის	XIII საუკუნე

5.		დარბაზული ეკლესია	<p>ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბალანთა, (GPS კოორდ. 41.615849° 43.542357°)</p>	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები. გადაკეთებული - XIX საუკუნეში
6.		მაჭატიის წმ. გიორგის ეკლესია	<p>ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაჭათია (GPS კოორდ. 41.453274° 43.522551°)</p>	არქიტექტურის	X საუკუნე, გადაკეთებული - XIX საუკუნეში
7.		მედრეკის კომპლექსი	<p>ახალქალაქის მუნიციპალიტეტი. სოფ. მერენია (GPS კოორდ. 41.55301 43.57111)</p>	არქიტექტურის / არქეოლოგიური	X საუკუნე
8.		ორჯას ეკლესია	<p>ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორჯა (GPS კოორდ. 41.480808 43.478236)</p>	არქიტექტურის	XVI საუკუნე
9.		ჭიხარულას წმ. გიორგის ეკლესია	<p>ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭიხარულა (GPS კოორდ.</p>	არქიტექტურის	1862-1863 წლები

10.		ხანდოს ეკლესია	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხანდო (GPS კოორდ. 41.493376 43.399554)	არქიტექტურის / პალეოგრაფიული	X საუკუნე
11.		ხოსპიოს ეკლესია	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოსპიო (GPS კოორდ. 41.371217 43.500726)	არქიტექტურის	XIV-XV საუკუნეები
12.		ვანის ნაქალაქარი	ვანის მუნიციპალიტეტი, ქ. ვანი (დანართ N1-ში მითითებულ საზღვრებში)	არქიტექტურის / არქეოლოგიური	ძვ.წ. VIII-I საუკუნეები
13.		ლიკანი - „მაცივარი“	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიკანი, მესხეთის ქ. N16	არქიტექტურის	1895 – 1905 წლებში
14.		ლიკანის პარკის ორანჟერეა	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიკანი, მესხეთის ქ. N16	არქიტექტურის / საინჟინდრო / მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	XIX-XX საუკუნეების მიჯნა

15.		<p>ეკის ნათლისმცემლის მონასტრის კომპლექსი (იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, კარიბჭე,სასახლე, სამრეკლო, გალავანი)</p>	<p>სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ეკი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>ეკლესია – IX - X სს-ის მიჯნა (მოიცავს უფრო ადრინდელ ფენას); ეკლესიის კარიბჭე _ XIII - XIV სს; სასახლე _ XIII - XIV სს; სამრეკლო _ XIII- XIV სს-ის მიჯნა; გალავანი – X, XVII- XVIII -სს</p>
-----	---	--	---	---------------------	---

ვანის ნაქლაქარი - ძეგლის საზღვარი

